საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სექტემბრის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
სექტემბერი

2024 წლის სექტემბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

12.0%

ივლისი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის პირველი რვა თვის საშუალო მაჩვენებელი **10.0%**

2024 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **0.6%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **0.8%**-ით განისაზღვრა.

იანვარ - აგვისტოში* საქონლის ექსპორტი **2.5%**-ით, ხოლო იმპორტი **3.3%**-ით გაიზარდა.



აგვისტოში* ფულადმა გზავნილებმა **290.6** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **44.5%;**
აშშ - **17.5%;**
რუსეთი - **14.6%;**
სხვა ქვეყნები - **23.4%.**

აგვისტოში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.3%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **1.3%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის აგვისტოში,* წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 12.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის აგვისტოში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 12.0%, რვა თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 10.0% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულმა დარგებმა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვევო, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ და ვაჭრობამ. კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის აგვისტოში* 14,545.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.2%-ით აღემატება.



<u>2024 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.6% შეადგინა.</u>

სექტემბერში, წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, ინფლაციის დონე 0.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ზრდის მიმართულებით გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, აგრეთვე ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე. სექტემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 0.8%-ით განისაზღვრა.

2024 წლის აგვისტოში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.5% შეადგინა.







<u>2024 წლის აგვისტოში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

აგვისტოში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.3%-ით, ხოლო ხარჯები 20.7%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 419.4 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 120.0 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის აგვისტოში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,761.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.0%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (38.3%-ით) და საშემოსავლო გადასახადი (23.0%-ით). ამავე პერიოდში 23.3%-ით შემცირდა აქციზი, ქონების გადასახადი (14.8%-ით), იმპორტის გადასახადი (9.8%-ით), დღგ (1.0%-ით) და სხვა. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 46.5%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 53.5% შეადგინა. აგვისტოში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 15.8%-იანი (104.1 მლნ ლარით ნაკლები) შემცირება დაფიქსირდა.



<u>2024 წლის აგვისტოში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

აგვისტოში*, წინა წლის აგვისტოსთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 20.0%-ით მოიმატა და 55.9 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 22.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 16.6%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.34 პპ-ით შემცირდა და 43.8% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.8%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.7% ფიზიკურ პირებზეა, 14.3% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 36.5% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 63.6% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.7% - ვაჭრობის, 17.2% - მრეწველობის, 13.6% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 7.1% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-აგვისტოში*, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 2.5%-ით, ხოლო იმპორტმა 3.3%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3.0%-ით გაიზარდა და 14,700.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: აშშ-ში (85%), ყირგიზეთში (80%), ყაზახეთში (26%), უზბეკეთში (16%), უკრაინაში (12%), თურქეთში (10%), რუსეთში (2%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა სომხეთში (26%), ჩინეთში (20%), აზერბაიჯანში (16%) და სხვა.

იანვარ - აგვისტოში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (261%), ფეროშენადნობის (91%), სპირტიანი სასმელების (63%), მინერალური და მტკნარი წყლის (26%), უალკოჰოლო სასმელების (22%), ღვინის (16%), ოქროს (16%), მსუბუქი ავტომობილების (8%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების საზღვარგარეთ გატანა (-28%).



2024 წლის იანვარ - აგვისტოში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 73.4% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 17.8% - საზღვაო, 4.2% - საჰაერო, 3.2% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 1.3% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 47.9% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 35.7% - საზღვაო, 7.4% - საჰაერო, 6.7% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 2.3% შეადგინა.



იანვარ - აგვისტოში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,825.2 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.3%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21%), თურქეთი (16%), ჩინეთი (10%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (5%), აშშ (5%), შვეიცარია (4%), უკრაინა (3%), ყაზახეთი (3%).

ფულადი გზავნილები **(%)**
ჩარიცხვები, აგვისტო



<u>2024 წლის აგვისტოში* ფულადი გზავნილები მცირედით გაიზარდა.</u>

აგვისტოში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვებმა 0.3%-ით მოიმატა და 290.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (129.2 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.5%) და აშშ (50.8 მლნ აშშ დოლარი, 17.5%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 29%-ით შემცირდა და 42.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 14.6%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (49.3 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.0%), აგრეთვე - გერმანიიდან (25.4 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (22.4 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (19.9 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (9.0 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (8.7 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,712 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

სექტემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,712 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.6%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 2.6%-ით ნაკლებია.

2024 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის აგვისტოში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

აგვისტოში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 8.1%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.1%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებებმა 0.3%-ით მოიმატა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 21.6%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 18.0%-ს გაუტოლდა. 2024 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.6% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2024 წლის სექტემბრის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 9,183.9 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, 65.8% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 18.7% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.4% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 11.9%, არარეზიდენტი - 3.5%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(სექტემბერი)



2024 წლის აგვისტოში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 57,844.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.8%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.5% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 49.5%.

აგვისტოს* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.6% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.4% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.2% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.8% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(აგვისტო)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 49.8% ვადიანი დეპოზიტებია, 25.5% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 24.8% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.4%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით (60.6%).



<u>2024 წლის აგვისტოში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

აგვისტოში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.38 პპ-ით შემცირდა და 45.9%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.34 პპ-ით მოიკლო და 43.8% შეადგინა.

აგვისტოს თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტებმა 1.5%-ით მოიმატა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.1%-ით შემცირდა.



2024 წლის აგვისტოში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 11,099.6 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 26.2%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.4%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.6%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 37,903.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21.6%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.3%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.7%.



აგვისტოს* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 62.6% გაცემულია თბილისში, 8.0% - იმერეთში, 7.5% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.5% -კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.3% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის აგვისტოში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1 პპ-ით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.3 პპ-ით გაიზარდა.

აგვისტოში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) აგვისტოს* მდგომარეობით 6.4% შეადგინა, 1.56 პპ-ით მეტი წინა წლის აგვისტოსთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.00% შეადგინა.





2024 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართებით მცირედით გაუფასურდა.

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.3%-ით, ევროს მიმართ 1.3%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.9%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში მცირედით გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.3%-ით, ევროს მიმართ 5.9%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 23.3%-ით გამყარდა.

სექტემბრის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.71, ევროსთან მიმართებით 3.01, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2024 წლის IIკვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2024 წლის II კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,004.9 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.1%-ით (200.4 ლარით) მეტია, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 3.2%-ით (61.5 ლარით) მეტი.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის II კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,963.0 ლარის ოდენობით, 4.3% წლიური ზრდა), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგებში (3,642.3 ლარის ოდენობით, ზრდა 14.4%), აგრეთვე - მშენებლობისა (2,946.1 ლარი, ზრდა 13.7%) და პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობების დარგებში (2,872.8 ლარი, ზრდა 13.8%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
(ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის აგვისტოს* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

აგვისტოში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 121.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 4.0%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 134.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.9%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 49.4% შეადგინა, ხოლო სომხეთში 0.6% დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის აგვისტოს* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 3.5%-ით, ხოლო რუსეთში 9.1%-ით გაიზარდა.





2024 წლის სექტემბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, რუსული რუბლის გარდა, გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი 2.3%-ით, თურქული ლირა 20.8%-ით, სომხური დრამი 0.2%-ით, აზერბაიჯანული მანათი 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი 5.8%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	12.0	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	14.2	
ინფლაცია (%)	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0	0.6
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00	
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.48	0.48	0.48	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	0.46	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	0.44	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.8	2.7	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	287,006	283,878	283,006	292,733	308,286	265,093	266,386	280,934	278,515	284,309	281,091	298,118	290,567	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	493	526	491	482	514	339	465	523	437	502	582	685	642	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,411	1,382	1,361	1,297	1,369	1,101	1,179	1,224	1,447	1,396	1,266	1,420	1,344	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-918.2	-856.0	-870.5	-814.8	-854.5	-762.7	-714.6	-701.6	-1,009.3	-894.2	-684.3	-735.7	-702.4	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,437	5,273	5,119	5,122	5,010	4,853	4,746	4,777	4,814	4,600	4,581	4,671	4,839	4,712
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,722	1,821	1,913	1,831	2,122	2,116	1,823	2,384	2,050	2,010	2,495	2,066	1,951	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,269	1,496	1,626	1,581	1,947	1,716	1,676	1,558	1,904	1,697	1,587	2,193	1,531	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	659	616	469	545	1,109	402	420	430	424	459	567	570	555	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი